

**შპს „ევროთრეიდი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

შპს "ვეროთრედი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	269227	1906610	80018	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	2990062	1552890	697990	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	218920	178656	30332	3.3
მარაგები	1892492	1785433	929863	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	1892492	1785433	929863	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	8863			3.5
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თევითირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	5861	5964	703	3.6
ძირითადი საშუალებები	904855	690283	29044	3.7
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	6290280	6119836	1767950	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	714381	767932	314572	3.8
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6985			
საგადასახადო ვალდებულებები		60428	28891	3.9
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	1143	10	4690	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3423069	3711670	247265	3.10
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			106276	
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		7637	7637	
სულ ვალდებულებები	4145578	4574741	709331	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	24113	24113	24113	3.11
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2120589	1548046	1034506	3.11
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	2144702	1572159	1058619	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6290280	6119836	1767950	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.02.2021 წ.

დირექტორი _____ ლაშა მგალობლიშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ევროთრეიდი"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	7008445	5303460	
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	7008445	5303460	3.12
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-5261828	-4125892	3.13
- საწყისი მარაგები	-1785433	-929863	
- მარაგების შესყიდვა	-5368887	-4981462	
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები	1892492	1785433	
საერთო მოგება	1746617	1177568	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-524154	-291857	3.14
ცვეთა და ამორტიზაცია	-30300	-17451	3.14
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-131588	-77787	3.15
იჯარის ხარჯი	-57166	-47652	3.14
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-288310	-161416	3.14
სულ საოპერაციო ხარჯები	-1031518	-596163	
საოპერაციო მოგება	715099	581405	
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-97909	-32585	3.16
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	353	-35280	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	617543	513540	3.17
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	617543	513540	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი (მ.შ. ბიოლ. აქტივების)			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:	617543	513540	
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1572159	1058619	3.17
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-45000		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2144702	1572159	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემის ვადის 03.02.2021 წ.

დირექტორი _____ ლაშა მგალობლიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ვეროთრედი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-866704	-757173
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-216687	-683019
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-519146	3253659
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-1602537	1813467
სავალუტო კურსის ეფექტი	-34846	13125
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1906610	80018
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	269227	1906610

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.02.2021 წ.

დირექტორი _____ ლაშა მაგლობლიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ვეროთრეიდი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 30 ნოემბერს; მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 404919987, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჩერქეზიშვილის ქ. №2. კომპანია დღე-ის გადამხდელად დარეგისტრებულია 2011 წლის 1 დეკემბერს.

1.2. კომპანიის ერთადერთი პარტნიორი - 100%-იანი წილის მფლობელია ლაშა მაგალობლიშვილი (პ/ნ 01024039909).

1.3. კომპანიის დირექტორია ლაშა მაგალობლიშვილი (პ/ნ 01024039909).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, საბითუმო ვაჭრობა სხვა ქიმიური პროდუქტებით. ასევე სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისში).

1.6. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს მეკავშირე საწარმო.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-

ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს დაკლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ

დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოდგენს ფული სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი (გაუფასურების ზარალის გამოკლებით).

ასევე, თვითღირებულების მოდელი (თვითღირებულება, გაუფასურების ზარალის გამოკლებით) გამოიყენება მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებისთვის.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც

კანონი მოგვიანებით, 2023 წლის 1 იანვრიდან შედის ძალაში). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი; 1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2019 წელს: 1 USD=2.7789 ლარი; 1 EUR=3.1226 ლარი.

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი; 1 EUR=2.9913 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	8129	2616	10
ლარი საბანკო ანგარიშებზე	217930	15464	40130
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	42	0	15
ევრო საბანკო ანგარიშებზე	43126	1888530	39864
სულ:	269227	1906610	80018

კომპანიის ფულადი სახსრები შედგება სალაროს ანარიშზე არსებული თანხისა და საქართველოს რამოდენიმე კომერციულბანკში არსებულ ანაგირიშებზე არსებული თანხებისაგან. კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს სს „საქართველოს ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“ და სს „პროკრედიტ ბანკი“

3.2 სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან	2990062	1552890	697990
სულ:	2990062	1552890	697990

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები არის გადაუხდელი მოთხოვნები საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 64 დებიტორი 31.12.2019 წ. მდგომარეობით.

3.3. გადახდილი ავანსები

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	18082	7449	11680
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	200838	171206	18652
სულ:	218920	178656	30332

2019 წლის ბოლოსათვის კომპანიის მიერ გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი შედგება როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ საწარმოზე გადახდილი ავანსებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნებისაგან. ასევე წინასწარ გადახდილი სადაზღვევო შენატანისაგან.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1890354	1653188	928249
საქონელი გზაში		130845	
სხვა მარაგი	1546	664	461
საწვავ-საცხები მასალები	592	736	1154
სულ:	1892492	1785433	929863

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგები შედგება ძირითადად იმპორტირებული გასაყიდი საქონლისაგან, კერძოდ სადებიზინფეციო-ქიმიური საშუალებებისა და შესაფუთი საქონელისაგან, ასევე საწვავ-საცხები მასალებისაგან და სხვა მარაგებისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი ერთიანი სახაზინო კოდი	8863	0	0
სულ:	8863	0	0

3.6. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
სხვა არამატერიალური აქტივები	5364	5364	0
პროგრამული უზრუნველყოფა	498	600	703
სულ:	5861	5964	703

არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამა „ინფო-ბუღალტერი“-
საგან და სხვა არამატერიალური აქტივისაგან, არამატერიალური აქტივების ერთიანი
დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 525,73 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 425,19 ლარი.

3.7. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
შენიშვნები				0			
ნაგებობები	14363		620	14983	15500	517	
სულ:	14363	0	620	14983	15500	517	0

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
არასასოფლო მიწის ნაკვეთი	566884	0	0	566884	566884	0	0
კომპიუტერები და აღჭურვილობა	11423	7035	3314	7702	4141	2087.75	5649.24
ოფისის აღჭურვილობა	535	606	71	0	0	0	0
კავშირგაბმულობის საშუალებები	5262	5292	1254	1224	1306	82	0
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2753	0	1952	4705	0	1952	6657
სატრანსპორტო საშუალებები	300321	227005	16876	90192	88058	9322	11457
სხვა ამორტიზირებადი ძირითადი საშუალებები	1411	0	814	2225	475	766	2516
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	1903	1455	1919	2367	2224	2621	2764
სულ:	890492	241393	26200	675299	663087	16832	29044

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 68350.17 ლარი;

2018 წლის ბოლოს - 41529.99 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	51240	42900	19799
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	663140	725031	294772
სულ:	714381	767932	314572

2019 წლის დასასრულს კომპანიას ჰქონდა მიმდინარე კრედიტორული დავალიანება საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე 16 რეზიდენტი პირის წინაშე და არარეზიდენტი 5 კომპანიის წინაშე, ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანება კომპანიას არ ჰქონია.

3.9. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	0	60428	28891
სულ:	0	60428	28891

საგადასახადო ვალდებულებები წლის ბოლოს შედგება დეკემბრის თვეში გაანგარიშებული მიმდინარე გადასახადებისაგან (საშემოსავლო, მოგების, დღგ), რომელთა დეკლარირებაც და გადახდაც მოხდა 2020 წლის იანვარში.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგებისგამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური მოგება

შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა საანგარიშო წლის განმავლობაში ფაქტობრივად გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. სხვა მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
პროკრედიტ ბანკის სესხი 76.4202	0	260957	73317
პროკრედიტ ბანკის სესხი 76.4693	0	580084	0
პროკრედიტ ბანკის სესხი 76.4995	0	403580	0
პროკრედიტ ბანკის სესხი 76.5155	0	473498	0
პროკრედიტ ბანკის სესხი 79.1243	0	105438	173949
თიბისი ბანკის სესხი 3700539-10318044	0	905680	0
თიბისი ბანკის სესხი 3700539-10318069	0	598670	0
თიბისი ბანკის სესხი 3700539-10318113	0	383763	0
საქართველოს ბანკი 6434554	2040357	0	0
საქართველოს ბანკი 6434569	607712	0	0
საქართველოს ბანკის საკრედიტო ხაზი 6512141	545614	0	0
ფიზიკური პირის სესხი	229386	0	0
სულ:	3423069	3711670	247265

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება სს „საქართველოს ბანკის“ 2 სესხისაგან, ერთი საკრედიტო ხაზისაგან, ასევე საქართველოს რეზიდენტი ერთი პირისაგან მიღებული სესხისაგან.

3.11. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2018 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	24113	24113	24113
გაუნაწილებელი მოგება	2120589	1548045	1034505
სულ:	2144702	1572159	1058618

კომპანიის საკუთარი კაპიტალი შედგება წესდებით დადგენილი კაპიტალისაგან და დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

3.12. ნეტო ამონაგები

	2019 წელი	2018 წელი
საქონლის რეალიზაცია	7008445	5303460
გაწეული მომსახურების თვითღირებულება		
სულ:	7008445	5303460

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სადეზინფექციო-ქიმიური საქონლისა და შესაფუთი მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლისაგან.

3.13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:

2019 წელს კომპანიის მიერ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება შედგებამპორირებული და ადგილობრივი საქონლის საწყისი ნაშთის, შეძენებისა და გაყიდვების შემდეგ დარჩენილი საბოლოო ნაშთისაგან.

3.14. საოპერაციო ხარჯები:

	2019 წელი	2018 წელი
რეკლამის ხარჯები	(24,940)	(27,252)
საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	(8,201)	(4,540)
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	(517,597)	(291,857)
საპენსიო ფონდი	(6,557)	
საიჯარო ქირა	(57,166)	(47,652)
კომპიუტერის ხარჯები	(2,324)	(312)
კომუნიკაციის ხარჯები	(8,358)	(5,452)
საწვავის ხარჯები	(30,014)	(30,196)
ავტომობილის შენახვის ხარჯი	(9,707)	(3,973)
კომუნალური გადასახადების ხარჯი	(4,625)	(3,743)
ცვეთა და ამორტიზაცია	(30,300)	(17,451)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	(21,526)	(19,431)
საგადასახადო ხარჯები	(3,289)	(1,761)
საბანკო ხარჯები	(94,651)	(29,770)
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	(41,436)	(10,482)
სხვა ხარჯები	(20,386)	(9,751)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(18,853)	(14,752)
სულ:	-899929	-518376

3.15 საპროცენტო ხარჯი:

	2019 წელი	2018 წელი
გადახდილი პროცენტის ხარჯი	131588	77787
	0	0
სულ:	131588	77787

2019 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯი შეადგენს სს „თიბისი ბანკი“, სს „პროგრესიტი ბანკის“ და სს „საქართველოს ბანკის“ სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული და გადახდილი პროცენტებისაგან.

3.16. წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან:

	2019 წელი	2018 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	157798	47496
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(255,707)	(80,082)
სულ:	-97909	-32585

3.17. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2019 წელს მოხდა დაგროვილი მოგების ნაწილობრივი განაწილება (2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული გაუნაწილებელი მოგებიდან), მაგრამ 2019 წელს კომპანიას არ წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რადგან ისარგებლა 2011-2016 წლებში გადახდილი მოგების გადასადის ჩათვლის უფლების სსკ 309-ე მუხლის 93-ე ნაწილის შესაბამისად.

3.18. სასამართლო დავები

კომპანიას 2019 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.19. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 3 თებერვლამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 3 თებერვალს. 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში 2020 წლის 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა ფინანსური სირთულეები, მაგრამ მენეჯმენტი

მიიჩნევს, რომ მის მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელებს ფუნქციონირებას, ისევე როგორც ამას აკეთებდა 2020 წელს. გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა სხვა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამოიწვევდა ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს "ვეროთრედი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018	
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	269227	1906610	80018	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	2990062	1552890	697990	3.2
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	218920	178656	30332	3.3
მარაგები	1892492	1785433	929863	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა მარაგი	1892492	1785433	929863	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მიმდინარე აქტივები	8863			3.5
სხვა არამატერიალური აქტივები	5861	5964	703	3.6
ძირითადი საშუალებები	904855	690283	29044	3.7
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	6290280	6119836	1767950	
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	714381	767932	314572	3.8
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6985			
საგადასახადო ვალდებულებები		60428	28891	3.9
გამოუმუშავებელი შემოსავალი და მიღებული ავანსები	1143	10	4690	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3423069	3711670	247265	3.10
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			106276	
მიღებული გრანტებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები		7637	7637	
სულ ვალდებულებები	4145578	4547677	709331	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	24113	24113	24113	3.11
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	2120589	1548046	1034506	3.11
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
მ.შ. - არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი	2144702	1572159	1058619	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6290280	6119836	1767950	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემის ვადის დასრულებამდე 03.02.2021 წ.

დირექტორი _____ ლაშა მგალობლიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ევროთრეიდი"

საქმიანობის შედეგები

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2019	2018	
ნეტო ამონაგები	7008445	5303460	
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	7008445	5303460	3.12
- მომსახურების გაწევიდან			
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-5261828	-4125892	3.13
- საწყისი მარაგები	-1785433	-929863	
- მარაგების შესყიდვა	-5368887	-4981462	
- გადამუშავების დანახარჯები			
- საბოლოო მარაგები	1892492	1785433	
საერთო მოგება	1746617	1177568	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-524154	-291857	3.14
ცვეთა და ამორტიზაცია	-30300	-17451	3.14
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	-131588	-77787	3.15
იჯარის ხარჯი	-57166	-47652	3.14
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-288310	-161416	3.14
სულ საოპერაციო ხარჯები	-1031518	-596163	
საოპერაციო მოგება	715099	581405	
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	-97909	-32585	3.16
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი	353	-35280	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	617543	513540	3.17
მოგების გადასახადის ხარჯი			
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ ზარალი	617543	513540	
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი/ ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	617543	513540	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1572159	1058619	3.17
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-45000		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2144702	1572159	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემისთანაობადად 03.02.2021 წ.

დირექტორი _____ ლაშა მგალობლიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "ევროთრეიდი"

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-866704	-757173
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-216687	-683019
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-519146	3253659
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-1602537	1813467
სავალუტო კურსის ეფექტი	-34846	13125
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1906610	80018
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	269227	1906610

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 03.02.2021 წ.

დირექტორი _____ ლაშა მგალობლიშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.